პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 27 ნოემბერი, 1943 წ. № 245 (6870). ფასი 20 კაპ.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ როკოსოვსკის

ბელორუსიის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, გაბედული შემოვლითი მანევრის შედეგად, დღეს, 26 ნოემბერს, დაიკავეს ბელორუსიის საოლქო და დიდი სამრეწველო ცენტრი—ქალაქი **გომელი**—რკინიგზების მნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი პოლესიეს მიმართულებით.

ქალაქ **გომელის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **გორბატოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **რომანენკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **ფედიუნინსკის** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რუდენკოს** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: **გენერალ-მაიორ ჩერვონის** გვარდიის 121-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **კონოვალოვის** 283-ე წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბულატოვის** 96-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **მასლენოვის** უნეჩის 217-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **სენჩილოს** შორეულ აღმოსავლეთის ნოვგოროდ-სევერსკის 102-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **კოროლევის** 22-ე საარტილერიო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **უშაკოვის** 584-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **პოდლესკის** გვარდიის 295-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **იუსუპოვის** 1179-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **დერბენევის** 481-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ოსტროვიაკოს** გვარდიის 37-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ცარევის** გვარდიის 92-ე წითელდროშოვანმა ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ **ფედორჩუკის** 741-ე მოტო-საინჟინრო ბატალიონმა, პოდპოლკოვნიკ **მასლიკის** 85-ე საპონტონო-სახიდე ბატალიონმა, პოლკოვნიკ **ლოგინოვის** 57-ე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ანდრეევის** 253-ე სატანკო პოლკმა, მაიორ **პოლეშჩუკის** 231-ე სატანკო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **მიანჩევის** 1444-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ფედორენკოს** 301-ე ბომბდამშენმა საავიაციო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ბერკალის** 282-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ფედოროვის** 273-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **კრუპსკის** ნეიუნის 299-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ივანოვის** ნეიუნის 286-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, მაიორ **ფედოროვის** 506-ე ცალკე სატყვიამფრქვევო-საარტილერიო ბატალიონმა.

მორჯულებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **გომელის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**გომელის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

გომელის გვარდიის 121-ე მსროლელი დივიზია,
გომელის 283-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია,
გომელის 96-ე მსროლელი დივიზია,
გომელის 22-ე საარტილერიო დივიზია,
გომელის 584-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
გომელის გვარდიის 295-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
გომელის 1179-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
გომელის 481-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
გომელის გვარდიის 37-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
გომელის გვარდიის 92-ე წითელდროშოვანი ნაღმმტყორცნელი პოლკი,
გომელის 741-ე მოტო-საინჟინრო ბატალიონი,
გომელის 85-ე საპონტონო-სახიდე ბატალიონი,
გომელის 57-ე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადა,
გომელის 253-ე სატანკო პოლკი,
გომელის 231-ე სატანკო პოლკი,
გომელის 1444-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი,
გომელის 301-ე ბომბდამშენი საავიაციო დივიზია,
გომელის 282-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
გომელის 273-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
გომელის 506-ე ცალკე სატყვიამფრქვევო-საარტილერიო ბატალიონი.

უნეჩის 217-ე მსროლელი დივიზია, ნოვგოროდ-სევერსკის შორეულ აღმოსავლეთის 102-ე მსროლელი დივიზია, ნეიუნის 299-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია და ნეიუნის 286-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია, რომლებმაც მეორეჯერ გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **წითელი დროშის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

ღღეს, 26 ნოემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **გომელი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **გომელის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 26 ნოემბერი.

მაიორ შ. ჭიჭიღაშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა

ფრონტისა და სახალხო მეურნეობისათვის გადაზიდვათა უზრუნველყოფისათვის და საომარი ვითარების ძნელ პირობებში რკინიგზის მეურნეობის აღდგენაში წარმატებათა მიღწევისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით რკინიგზის ტრანსპორტის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მათ შორის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა რკინიგზის აღმდგენი ბატალიონის მეთაურს მაიორ **შალვა ნიკოლოზისძე ჭიჭილაშვილს.**

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის დაჯილდოებული არიან: **სამამულო ომის მე-2 ხარისხის** ორდენით—პოდპოლკოვნიკი ვალერიან სერგოს-ძე **კაჩაშვილი** და **წითელი ვარსკვლავის** ორდენით — პოლკოვნიკი ვალიკო ნესტორის-ძე **დოლიძე.**

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და გზათა სახალხო კომისარიატმა განიხილეს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის ოქტომბრის შედეგები და გადასწყვიტეს:

დარჩეთ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები:

ტომსკის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის ტოპკის განყოფილებას და ტოპკის დეპოს (განყოფილების უფროსი ამხ. სისოევი) და ეს დროშა გადაეცეს ჩრდილოეთის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის ვოლოგდის განყოფილებიდან და ვოლოგდის დეპოდან.

გზათა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული რეზერვის ორთქლმავალთა № 5 კოლონას (უფროსი ამხ. მოროზოვი) და ეს დროშა გადაეცეს მოსკოვ-კურსკის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის კურსკის განყოფილებიდან და კურსკის დეპოდან.

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის რტიშჩევის დისტანციას (უფროსი ამხ. გერასტი) და ეს დროშა გადაეცეს სვერდლოვსკის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სვერდლოვსკის მესამე დისტანციიდან.

სახიდე რაზმს, რომლის უფროსიც არის სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ბარენბოიმი, და ეს დროშა გადაეცეს ლიანდაგის რემონტის მატარებლიდან, რომლის უფროსიც არის ამხ. პეტროშინი.

მეტრომშენებლობას (უფროსი გზისა და მშენებლობის მეორე რანგის გენერალ-დირექტორი ამხ. სამოდუროვი) და ეს დროშა გადაეცეს № 165-ტ მშენებლობიდან.

ტრესტ „სევტრანსელესის“ პლესეცკის „ლენტრანსხოზს“ (უფროსი ამხ. ფომინი).

ბევრ სხვა რკინიგზას, რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოსა და მშენებლობებს ეძლევათ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე ეძლევათ მეორე პრემიები. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

ბელორუსიის ფრონტის ჯარებმა წარმატებითი შეტევა და გაბედული შემოვლითი მანევრის შედეგად დღეს, 26 ნოემბერს, დაიკავეს ბელორუსიის სსრ დიდი საოლქო ცენტრი, — ქალაქი და რკინიგზის კვანძი **გომელი.**

26 ნოემბრის განმავლობაში **პროპოისკის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მაშევსკაია** სლობოდა, **ხოტიეჩი, კულიჩიჩი, ზაპოლიანი, ხაჩინკი, კულიკოვკა, გასანი, ტუშევკა, ოსტროვი, საპოჟკი.**

მდინარე **სოჟსა** და **დნეპრს** შუა **გომელის** რაიონში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **პრისნო, ლოპატინო, კოსტიუკოვკა, ერიოშინო, დავიდოვკა, ბაბოვიჩი, სოსნოვკა, გოროვაია, ალექსანდროვკა, კოპანი.**

მდინარე **ბერეზინის** ქვემოწელის რაიონში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ნიჟნიაია ოლბა, გოროდოკი, კალინოვკა, ტოლსტიკი, ოტრუბი, მოიჩა, ველიკი ბორი, მარმოვიჩი, დავიდოვკა, პროსვეტი, ლიუდვინოვკა** და რკინიგზის სადგური **შაცილკი.**

რეჩიცის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ეწეოდნენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **სტარი** და **ნოვი ნახოვი, გლინაია სლობოდა, უჟინეცი, ალექსიჩი, ბოგუსლავიცა, გლინიშჩე.**

კოროტენის, ჩერნიახოვისა და **ბრუსილოვის** რაიონებში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს.

კრემენჩუგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტები **კურჩანოვკა, ჩეჩელევო, გელეცკოვკა, სვინარკა, ბრაილოვკა, ტალოვა გალკა, ვოროგბინეკა.**

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანადმტყორცნო სროლაა.

25 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა **ყველა ფრონტზე** დააზიანეს და მოხსეს **გერმანელთა 75 ტანკი.** ხაჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია **მტრის 21 თვითმფრინავი.**

* * *

ბელორუსიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ბელორუსიის საოლქო და დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი გომელი. გერმანელებმა გომელი გადააქციეს თავისი თავდაცვის მძლავრ პუნქტად პოლესიეს მიმართულებით. ქალაქის მისადგომებზე მოწინააღმდეგემ ააგო სიმაგრეები, თავი მოუყარა დიდძალ არტილერიას და ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა. ჩვენმა ჯარებმა სწრაფი დარტყმებით დეზორგანიზაცია შეიტანეს მტრის თავდაცვაში, გაბედული შემოვლითი მანევრი მოახდინეს და დღეს დაიკავეს ქალაქი გომელი. გომელისათვის ბრძოლებში განადგურებულია მოწინააღმდეგის დიდი ძალები. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა—ბევრი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, სატყორცნი აპარატები და სომარი მასალისა და სამხედრო ქონების დიდი საწყობები.

* * *

პროპოისკის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მოწინააღმდეგე ცდილობდა კონტრიერიშებით შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ერთ უბანზე გერმანელებმა ოცამდე კონტრიერიში მოიტანეს. ცალკეული დასაყრდენი პუნქტები არაერთხელ გადადიოდა ხელიდან ხელში. ღღის ბოლოსათვის 6 შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. გერმანელთა ჯარებს უდიდესი ზარალი მოსდით. მარტო ერთ რაიონში უკანასკნელ ღღეებში მოსპობილია 4.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 9 ტანკი, 48 საველე და 12 თვითმავალი ქვემეხი. ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგეს წაართვეს 8 ტანკი, 46 ქვემეხი, 58 ნაღმსატყორცნი, 40 სატყორცნი აპარატი, 140 ტყვიამფრქვევი, 40 რადიოსადგური, ბევრი ყუმბარა, ეაზნა და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეთა დიდი რაოდენობა.

* * *

მდინარე **ბერეზინის** ქვემოწელის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და სადგური შაცილკა მოზირ-ყლობინის რკინიგზაზე. 6 ნაწილის მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ამ სადგურს იცავდა, და მოსპეს 400-მდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 2 საარტილერიო ბატარეა, 6 ნაღმსატყორცნი და საწყობი სოიმარ მასალიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

რეჩიცის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას ეწეოდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც ტყიან-ჭაობიან ადგილებში მოქმედებდნენ, წინ წაიწიეს და განდევნეს გერმანელები ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტიდან. ამ პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპობილია ჰიტლერელთა ერთ ბატალიონამდე ჯარი. ხელთ ვიგდეთ 4 ქვემეხი, 46 ტყვიამფრქვეევი, 300 შაშხანა და ავტომატი, აგრეთვე 180 საბარგული სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ჩერნიახოვისა და ბრუსილოვის რაიონებში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიებას. 6 შენაერთის არტილერისტებმა დღის განმავლობაში დაანგრიეს და დაწვეს გერმანელთა 18 ტანკი. სხვა ობანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა, მოწინააღმდეგის იერიშის მოგერიებისას, მოსპეს 11 ტანკი. 4 თვითმავალი ქვემეხი, 13 ჯავშნიანი მანქანა და 11 ავტომანქანა შეავტომატვეებიანად. მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

კრემენჩუგის სამხრეთ-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთ უბანზე ჰიტლერელები განსაკუთრებით შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. გაფანტრებული ბრძოლის შედეგად ჩვენმა ნაწილებმა აიძულეს გერმანელები უკან დაეხიათ და დევნისას დიდი ზარალი მიაყენეს მათ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-ზე მეტი გვამი, გერმანელთა 17 დაზიანებული ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ბარენცის ზღვაში ჩაძირულია გერმანელთა ტრანსპორტი 6 ათასი ტონა წყალწყვისა.

* * *

ყირიმში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა ავტოკოლონას. გაფფრებულ ბრძოლაში პარტიზანებმა გაანადგურეს 40 ჰიტლერელი და მოსპეს 5 ავტომანქანა ტვირთიანად. ყირიმელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ააფეთქა მოწინააღმდეგის მძიმე პოსაცობი ქარხანა და 6 სატვირთო ავტომანქანა.

* * *

ამ უკანასკნელ ღღეებში ტყვედ წამოყვანილია გერმანელ ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელნიც ეგრეთ წოდებული „საბრძოლო ჯგუფებისა“ და ნაჩქარევად შეკოწწეულნი ნაკრები ასეულების შემადგენლობაში შედიოდნენ. ერთ უბანზე ტყვედ წამოყვანილია გერმანელთა 1-ლ სატანკო არმიასთან არსებული სპიაროო ოსნ საწყობის 9 ჯარისკაცი. ისინი ყველანი ცნობილი იყვნენ სამწყობრო სამსახურისათვის უვარგისად და მუშაობდნენ 670-ე საიარაღო საწყობში. ტყვეებმა განაცხადეს, რომ მეიარაღეებთან ერთად ბრძოლაში გამოყენული იქნენ აგრეთვე 55-ე სამშენებლო ბატალიონის, 36-ე სათადარიგო ბატალიონისა და 219-ე სარკინიგზო სამშენებლო ბატალიონის ჯარისკაცები.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 306-ე ქვეითი დივიზიის საარტილერიო ასეულის მეექვემეს ოზეფ კასტნერმა განაცხადა: „ამ ცოტა ხნის წინათ მე მიბრძანეს დაუყოვნებლივ შემეწყვიტა მუშაობა და წავსულიყავი მოწინავე ხაზზე. ჩემთან ერთად სანგრებში გაგზავნილ იქნენ ჯარისკაცები პორის მცხოებელთა ასეულიდან, ხორცის დამამზადებელი ოცეულიდან და სხვა სამეურნეო ქვეგანყოფილებიდან. ჩვენ 88-ელთა დივიზია „დიდ გერმანიასთან“ შეგვაერთეს.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 57-ე ქვეითი დივიზიის მომარაგების 157-ე ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ფრანც იანმა განაცხადა: „57-ე ქვეითმა დივიზიამ, იმდენად დიდი ზარალი განიცადა, რომ დამოუკიდებლად მოქმედება უკვე აღარ შიუძლია. მასში დარჩა ათასამდე კაცი. რომლებიც ახლა მე-10 მოტოდივიზიას დაუმორჩილეს. ამ ცოტა ხნის წინათ მე და სხვა ჯარისკაცები მომარაგების ასეულიდან ნაკრებ ასეულში გადგიყვანეს. ამ ქვეგანყოფილებ თავმოყრილი არიან ჯარისკაცები მომარაგების ასეულიდან, სანიტარული ოცეულიდან, აღალიდან და მეკავშირეთა ოცეულიდან. ჯარისკაცები ასეთ ნაკრებ ასეულებს სასიკვდილოთა გუნდებს უწოდებენ. პირველსავე ბრძოლაში ჩვენმა ასეულმა თავისი შემადგენლობის ნახევარი დაჰკარგა. მეორე ბრძოლაში რუსების გამოჩენისთანავე ჩვენ ტყვედ დავნებდით“.

დიდი ბელადის მოწოდების პასუხად

ახალი საწარმოო აღმავლობა

ზუგდიდის რაიონის საწარმოებში

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე ზუგდიდის რაიონის მუშა-მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

ბელადის ამ ისტორიულ მოხსენებით აღფრთოვანებულმა საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა საკონსერვო ნაწარმის გამოშვების 10 დღის გეგმა 129,8 პროცენტით შესრულეს. მათ იკისრეს ქარხნის წლიური გეგმის 5 დეკემბრამდე გადაჭარბებით შესრულება. ქარხნის დირექცია (დირექტორი შ. დარასელია) და პარტორგანიზაცია (მდივანი ქ. გრიგოლია) სისტემატურად ამოწმებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის და დებულობენ სათანადო ზომებს ახალ წარმატებათა მისაღწევად. ახალგაზრდა მუშა, კომკავშირელი მ. სარსანია დღიურ გეგმას 150 პროცენტით ასრულებდა. ბელადის მოხსენების პასუხად მან დღიური გეგმის შესრულება 250 პროცენტამდე გაზარდა. სტახანოველმა მუშებმა გ. ნაბოიკომ, ზ. იაკენკომ, ა. შამანსკაიამ, ვ. ჩჩრბაკმა და სხვ. იკისრეს ყოველდღიური გეგმის 120-130 პროცენტით შესრულება. ახლა ინერგიული მუშაობის შედეგად გეგმას ყოველდღე საშუალოდ 150-160 პროცენტით ასრულებენ.

ინგურის ქაღალდკომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა იკისრეს მეოთხე კვარტალის გეგმის 20 დეკემბრისათვის შესრულება. ამ ვალდებულების შესასრულებლად ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება საამქროებსა, ცვლებსა და ბრიგადებს შორის. მოწინავეთა რიგებშია ცვლა, რომელსაც ამხ. ნ. ნადარაია ხელმძღვანელობს. ცელულოზის ქარხანა (უფროსი ამხ. ა. ოსიპოვი) ნაცვლად 15 ტონისა ყოველდღიურად უშვებს 18 ტონა ცელულოზას.

ბ. ალშიბაია

ფოთელ კოლმეურნეების შეჯიბრება

ფოთი („**კომუნისტის**“ **საკ. კორ.**). ამხანაგ **სტალინის** ისტორიული მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები დაუფალავად მუშაობენ, რომ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სოფ. სამაიოს ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი კ. სესკურია ენერგიულად მუშაობს. მან მოსავალი უდანაკარგოდ აიღო. სოფ. პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი თამარ წულაია ფრონტელის ცოლია, მან თავისი ქმრის ადგილი დაიკავა კოლმეურნეობაში და ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. ამხ. წულაიას უკვე გამომუშავებული აქვს 300-ზე მეტი შრომადღე. ამხ. წულაია დაჯილდოებულია ნიშნით „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“.

კარგად მუშაობს ამ კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა. ბრიგადირი ივანე თოდუა ომიანობის დროის ტემპებით მუშაობს. ამ ბრიგადის წევრები ს. ჯანჯღავა, გ. ფუტკარაია მოსავლის აღების გეგმებს 170-200 პროცენტით ასრულებენ. ბრიგადირი თოდუა დაჯილდოებულია ნიშნით „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“. ეს ბრიგადა წარმატებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ყველა ვალდებულებას.

ვ. გუჯაბიძე

იღებენ ჭუნგოს უხვ მოსავალს

ხობი („**კომუნისტის**“ **კორ.**). კოლმეურნეობებში დაიწყო ტუნგოს მოსავლის აღება. წელს რაიონში სახელმწიფოს გეგმით უნდა ჩაბარეს 60 ტონა ტუნგოს ნაყოფი. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების პასუხად იკისრეს ფაქტიურად 100 ტონის ჩაბარება.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებული საამქრო

გზათა სახალხო კომისარიატმა და რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა მუშების პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს რკინიგზის საწარმოთა სახობრივ საამქროების კოლექტივთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის ოქტომბრის შედეგები. შეჯიბრებული ნასალებს მიხედვით კომისიამ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო და პირველი ადგილი მიაკუთვნა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის (ქარხნის უფროსი ამხ. დ. ჭიჭინაძე, პარტკომის მდივანი ამხ. ი. ნეფარიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ეგორაშვილი) საბორბლე საამქროს კოლექტივს (უფროსი ამხ. ს. ულიბაკოვი). აღნიშნული საამქროს კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ცვლაში შეინარჩუნა გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

მშენებლობის სახალხო კომისარიატის საგმშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიმართვა ყველა მშენებელი მუშის, მუშა ქალის, ინჟინრისა და ტექნიკოსისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ყოველი საბჭოთა პატრიოტის გული სიამაყითა და სიხარულით აღივსო, როდესაც ჩვენი ქვეყანა ისმენდა ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას, რომელმაც შეაჯამა საბჭოთა ხალხის მიერ გასული წლის მანძილზე მიღწეულ დიდ გამარჯვებათა შედეგები.

მთელს მუშათა კლასთან ერთად, საბჭოთა მშენებლებმა სამამულო ომის დროს დიდი ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღეს ფრონტისათვის დასახმარებლად. ომიანობის დროის უძნელეს პირობებში ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში აგებულ იქნა დიდძალი საწარმოო კორპუსები ევაკუირებულ საწარმოთა ნოსატავსებლად, აშენდა ათობით ახალი უდიდესი ქარხანა, რომლებიც მრისხანე საბჭოთა იარაღის არსენალი გახდა.

ახლა სამშობლო, ამხანაგი სტალინი მშრომელებს მოუწოდებენ ძალღონის ახალი დაძაბვისაკენ მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის.

ახალი ბრძოლების, მარტენების, ელექტროსადგურებისა და თავდაცვითი მრეწველობის ქარხნების მშენებლობის ტემპების დაჩქარებასთან ერთად მშენებელთა წინაშე დგას დიდი ამოცანები გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში შეურნეობის აღსადგენად.

ამხანაგმა სტალინმა თავის 1943 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში სთქვა: „ჩვენ მოლიანად უნდა მოვახდინოთ გერმანელთა ბატონობის შედეგების ლიკვიდაცია იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა ოკუპაციისგან. ეს დიდი, საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. ჩვენ შეგვიძლია და კიდეეც უნდა გადავწყვიტოთ ეს ძნელი ამოცანა მოკლე ვადაში“.

სამშობლოს წინაშე ჩვენი მოვალეობაა — რგრეული ქაოსიდან, ნახანძრალთა ფერფლიდან განთავისუფლებულ რაიონებში აღვადგინოთ ჩვენი მრეწველობა და ავაღორძინოთ ჩვენი ქალაქები. ჩვენი მოვალეობაა—გავადიდოთ შავი მეტალურგიის საწარმოთა მშენებლობის ტემპები და უფრო ჩქარა ავამუშაოთ ქარხნები. საამქროები და ნაგებობანი, რომლებიც მოწოდებული არიან დახმარება გაუწიონ წითელ არმიას საძულველი მტრის განადგურების დაჩქარებაში.

შეგნებული გვაქვს, თუ რაოდენ პასუხსაგები და საპატიოა ის ამოცანა, რომელიც დასმულია ჩვენს წინაშე, მშენებელთა წინაშე და ჩვენ ვკისრულობთ შემდეგს ვალდებულებებს:

განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილის „სტალინგრადსკი ტრაქტორსტროის“ კოლექტივმა:

1. სამშენებლო-სამონტაჟო საპუშაოთა წლიური გეგმა შეასრულოს ვადამდე — 20 დეკემბრისათვის — და ამ დროისათვის: სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში ჩააბაროს 80 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი; აღადგინოს 18 ათასი კილოვატი ელექტროსიმძლავრე; ააგოს და აღადგინოს საცხოვრებელი სახლები 30 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

2. 1944 წლის მაისისათვის სავსებით დაამთავროს **სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის** აღდგენა და **მწყობრში ჩააყენოს ყველა მისი ძირითადი საამქრო.**

3. შეასწავლოს სამშენებლო პროფესიები 2 ათას არაკვალიფიციურ მუშას.

№ 19 განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილის მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივმა:

1. სავსებით დაამთავროს ამა წლის ნოემბერში სამუშაოები უმნიშვნელოვანესი თავდაცვითი ობიექტის ასაგებად და ასამუშავებლად.

2. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მთელი კოლექტივით მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებიანად წავიდეს დონბასში, რათა მალე შეეასრულოთ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალება დონბასის წყლის მეურნეობის ჯებირების, სატუმბავი სადგურებისა და მილსადენების აღსადგენად და მით უზრუნველვყოთ 1944 წლის გაზაფხულის წყალდიდობის შეკავება.

განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილის „იუუტიაუსტროის“ მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივმა:

1. წელს საეკსპლოატაციოდ გადასცეს № 3 მარტენის ღუმელი და დაამთავროს № 4 მარტენის ღუმელის სამშენებლო სამუშაოები.

2. მრიცის ნაყოფიერება გაადიდოს 10 პროცენტით და მიაღწიოს ისეთ, რომ კოლექტივში არ იქნეს არც ერთი მუშა, რომელიც ნორმას ვერ ასრულებდეს.

3. აიღოს ფეფინა მაკეევის ნეტალურგიული ქარხნის ალმაგენ სამშენებლო ორგანიზაციაზე და სისტემატურად გაუწიოს მას პრაქტიკული დახმარება.

4. ა. წ. ნოემბერში ამ მშენებლობის განკარგულებაში მიავლინოს 25 გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და გამოჰყოს მისთვის 20 სხვადასხვა სანშენებლო მექანიზმი, 25 ელექტრომოტორი, 2 მოძრავი ელექტროსადგური და 10 გამართული ავტომანქანა.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი განსაკუთრებული სამშენებლო-სამონტაჟო ნაწილის „სტალკონსტრუქციის“ მემონტაჟეთა კოლექტივმა:

1. უზრუნველჰყოს ჩქარი დამზადება და მონტაჟი ლითონკონსტრუქციებისა, რომლებიც საჭიროა დონბასის

ბალტიისპირეთის პარტიზანთა საბრძოლო საქმენი

უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, ლატვიის, ესტონეთისა და ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკების პარტიზანები აძლიერებენ დარტყმებს მტრის წინაღმდეგ. ჰიტლერელები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში უმაგალითო მხეცობას სჩადიან, მაგრამ ვერ ახერხებენ ჩაახშონ სახალხო ომის ტალღა, რომელიც მოსახლეობის სულ ახალ-ახალ ფენებს ეღება.

პარტიზანთა რაზმები ივსება იმ ადამიანებით, რომლებიც ტყეებში გარბიან, რათა თავი დაიწონონ ფაშისტურ კატორღაში იძულებითს მობილიზაციას. ბალტიისპირეთის პარტიზანების საბრძოლო მოქმედება იზრდება და ფართოვდება. მარტო ერთი უკანასკნელი თვის განმავლობაში ლატვიელმა პარტიზანებმა აიფეთქეს და ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 18 სამხედრო ეშელონი. ამ ოპერაციების შედეგად დამტვრეულია 14 ორთქლმავალი და 80 ვაგონი, მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ასი ჰიტლერელი, მოსპობილია ბევრი სამხედრო ქონება და საბრძოლო ტექნიკა.

ესტონელმა პარტიზანებმა ამხ. ი-ს ნეთაურობით ამას წინათ აფეთქეს რკინიგზის ხიდი მდინარეზე. მოძრაობა მნიშვნელოვან რკინიგზაზე რამდენიმე დღით შესწყდა. პარტიზანები წარმატებით მოქმედებენ გზატეხილებზეც.

ლატვიელ პარტიზანთა რაზმმა რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. რ., ამას წინათ ჩაატარა რამდენიმე წარმატებითი ბრძოლა მტრის სადამსჯელო ნაწილების წინააღმდეგ. პარტიზანთა ერთმა ჯგუფმა აღმოაჩინა ხუტორში ჩასაფრებული გერმანელები. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე განდევნილ იქნა ხუტორიდან და გაფანტულ იქნა. ამავე რაზმის მეორე ჯგუფმა აგრეთვე წარმატებით ჩაატარა ბრძოლა ხუტორ ნ-ში ჩასაფრებულ დამსჯელთა წინააღმდეგ. მოწინააღმდეგემ ამ ხუტორში სატვირთო ავტომანქანით გაგზავნა მაშველი ჯარი. მანქანა აფეთქდა პარტიზან ამხ. ს-ს მიერ ჩადგმულ ნაღმზე. აფეთქებისას მოკლულ იქნა 20 და დაიჭრა 5 ჰიტლერელი. ბალტიისპირეთის პარტიზანები ეხმარებიან მოსახლეობას გერმანელების მიერ სურსათისა და საქონლის სარეკვიზიციოდ მიღებულ ღონისძიებათა საბოტაჟის გატარებაში. სახალხო შურისმგებელთა ერთმა ჯგუფმა ამხ. მ-ს მეთაურობით ამას წინათ ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგის „დამამზადებელ“ რაზმს. ამ შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა რამდენიმე ჰიტლერელი. მოკლულთა შორის აღმოჩნდნენ მაზრის პოლიციის უფროსის თანაშემწე, საპოლიციო უბნის უფროსი და გესტაპოს ერთი ოფიცერი.

პარტიზანების ჯგუფმა გზაში დააკავა მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ საოკუპაციო ხელისუფლების ხელმძღვანელი მუშაკები. სროლის დროს მოკლულ იქნენ ლუძენის მაზრის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი ბარონი შტრანბერგი, მაზრის უფროსი რიაუკა, მაზრის პოლიციის უფროსი პასი, ერთი გერმანელი პოლკოვნიკი და შოფერი.

წითელი არმიის წარმატებანი ახალი საბრძოლო საქმეებისათვის აღფრთოვანებენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის პარტიზანებს.

გვარდიის მაიორი **გ. საფონოვი**

მოქმედი არმია, 25 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.).

ᲒᲧᲕᲔ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

მოქმედი არმია, 26 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ოთახში შემოყვანეს ტყვე გერმანელი. მას ეცვა ჭუჭყიანი, გახუნებული მანტო, ფეხზე—უზარმაზარი ხის სქელ ლანჩიანი ფეხსაცმელი, თავზე მოხვეული ჰქონდა ქალის შალი. ეს იყო უნტერ-ოფიცერი ერიხ კოლვეგი იმ დივიზიადან, რომელმაც მთელი რიგი სერიოზული დამარცხებანი განიცადა გომელის რაიონში.

— ჯერ კიდევ ორიოლთან განადგურებული ჩვენი დივიზია,—ამბობს ტყვე,—იძულებული იყო ძმანე ზარალით დაეხია უკან დნეპრამდე. ჩემს თვალწინ საბჭოთა ჯარების ცეცხლით იღუპებოდნენ გერმანელ ჯარისკაცთა მთელი ასეულები. ჩვენი ასეული მაგალითად, უკანდახევის ოთხი თვის განმავლობაში რვაჯერ შეავსეს, და მას მაინც არასოდეს არა ჰქონია სრული შემადგენლობა. დღეს მოვიდოდნენ მოლაშქრენი, ხვალ კი მათგან უკვე აღარავინ რჩებოდა. ოფიცრები ვვარწმუნებდნენ, დნეპრს გაღმა ჩვენ შევჩერდებით, იქ უკვე მომზადებულია საზამთრო ბინები. ვაი, რომ დნეპრის გაღმა ჩვენ ნაკლები ზარალი როდი მოგვდის საბჭოთა ჯარების დარტყმებით.

უნტერ-ოფიცერ ერიხ კოლვეგს სცვლის 499-ე პოლკის მე-2 ასეულის რიგითი ჯარისკაცი იოჰან კრუგი. იგიც ლაპარაკობს უდიდეს ზარალზე.

— ჩვენს ასეულს,—ამბობს ტყვე,—ბრძანება ჰქონდა მიეცემული რადაც უნდა დასჯდომოდა შეენარჩუნებინა სოფელი. რუსებმა მოსპეს მთელი ასეული და სოფელი დაიკავეს. მე სარდაფში დავიმალე და, შესაძლოა, ერთადერთი ვარ მთელს ასეულში ცოცხლად გადარჩენილი. ბრძოლის წინ ასეულში ასამდე კაცი იყო, გვქონდა 4 ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნები. ჯარისკაცები დაიღუპნენ, იარაღი კი რუსებს დარჩათ.

გერმანელთა 150-ე ცალკე მესანგრე ბატალიონის ტყვე მეთაურმა კაპიტანმა კურტ მიერმა დაკითხვაზე განაცხადა: „ჯერ კიდევ ამას წინათ ბატალიონში 400 ჯარისკაცი ითვლებოდა. უკანასკნელი ბრძოლის შედეგად ბატალიონში 70 კაცი დარჩა. თუმცა ეკუთვნის 70.. ხუთნი, მათს რიცხვში მეც. ბატალიონის მეთაური, რუსთა ტყვეობაში აღმოვჩნდით“.

რუსეთი გერმანიის არმიის სამარე გახდა,—ამბობს 30-ე ეგერთა ბატალიონის მე-2 ასეულის ტყვე ეფრეიტორი, მანქანათმშენებელი ქარხნის ყოფილი ინჟინერი ფლავიან მეგერა. — სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ბატალიონი გერმანელთა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საბრძოლო ერთეულად ითვლებოდა ფრონტის ამ უბანზე; ბატალიონში 1.200 საუცხოოდ შეიარაღებული ჯარისკაცი იყო. იმ მომენტში, როდესაც მე ტყვედ ჩავვარდი, ბატალიონში 400 კაცზე მეტი აღარ იყო. ახლა, რასაკვირველია, ისინიც ადარ არიან.

იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ზარალმა გერმანიის ჯარების მორალურ მდგომარეობაზე, შეიძლება ვიმსჯელოთ იმავე კურტ მიერის ჩვენების მიხედვით. იგი 13 წელს მსახურობდა ჰიტლერულ არმიაში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დასაწყისში დარწმუნებული იყო გერმანიის ელვისებურ გამარჯვებაში. ახლა ეს კადრის ოფიცერიც კი სხვა რამეზე ლაპარაკობს:

— გერმანიის გამარჯვებისადმი რწმენა საბოლოოდ გაქარწყლებულია. არმია სისხლისაგან იცლება, ხოლო რისი გულისათვის—არაკინ იცის. თვალუწვდენი სივრცეები მორწყულია გერმანელთა სისხლით და მოფენილია მათი ძვლებით. ახლა ამბობენ, ჩვენ გერმანიის საზღვრები, მისი საკუთარი ტერიტორია უნდა დაიცვათო. ბუნებრივია, რომ ყოველ ოფიცერსა და ჯარისკაცს ებადება კითხვა: ღირდა კი მოგვეხდინა ეს სისხლისმღვრელი გასეირნება ეოლოგისკენ და კავკასიაში, რათა ნაცემი დავბრუნებულიყავით შინ?

ვ. შილკინი

ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲒᲘ

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲖᲔ

ლონდონი, 26 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 25 ნოემბერს ღამით ინგლისის ავიაციის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მაინის ფრანკფურტს და ბერლინს.

26 ნოემბერს დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას.

რეიტერის საგენტოს ცნობით, გუშინ ნოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა პა დე კალეს რაიონზე, კოტანტენის ნახევარკუნძულზე, შერბურის დოკებსა და სხვა ობიექტებზე საფრანგეთში.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲨᲔᲜᲔᲕᲐ, 26 ნოემბერი (საკდესი). შვეიცარიული გაზეთი „ეური“ იუწყება, რომ დანოკიდებულება გერმანელებსა და მოლანის მოსახლეობას შორის უაღრესად გამწვავდა. საბოტაჟის მრავალრიცხოვან აქტებსა და დივერსიებთან დაკავშირებით ჰიტლერელებმა მძევლების სახით დააპატიმრეს ქალაქის 2 ათასი მცხოვრები. მოლანის მთელ რიგ საწარმოებში, რომლებიც გერმანელებმა თავის კონტროლქვეშ მოაქციეს, რამდენიმე აფეთქება მოხდა.

შვეიცარიაში გამომავალი გაზეთი „ლიბერა სტამპა“ იუწყება, რომ კომოს ტბის მახლობლად მოხდა შეტაკება ჰიტლერელებსა და შეიარაღებულ მუშათა რაზმს შორის. შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა 100 გერმანელი ჯარისკაცი და 4 ტანკი. მაგრამ მუშებმა გაანადგურეს ჰიტლერელები და მთებში წავიდნენ.

რომში ღამით თავს ესხმიან ჰიტლერელ ჯარისკაცებსა და საოკუპაციო ჯარების ყაზარმებს.

თავდამსხმელებს მიაქვთ საომარი მასალა და სურსათი.

სტოკჰოლმი, 26 ნოემბერი (საკდესი). შვედური გაზეთი „სტოკჰოლს ტიდნინგენი“ იუწყება, რომ მილანის რაიონში მოქმედებს სულ მცირე 15-20 ათასი შეიარაღებული იტალიელი პარტიზანი. ჰიტლერელთა ყოველი ცდა გარშემორტყან და მოსპონ პარტიზანული რაზმები, მარცხით მთავრდება.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲫᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 24 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის სამხედრო წარმოების პროდუქციამ ოქტომბერში მნიშვნელოვნად გადააჭარბა სექტემბრის დონეს და ყველაზე მეტი მატება მოგვცა ამ უკანასკნელ ნახევარ წელიწადში.

ოქტომბერში დამზადებულ იქნა სარეკორდო რაოდენობის თვითმფრინავები — 8.362 — 10 პროცენტით მეტი, ვიდრე სექტემბერში.

გემების გამოშვებამ იმატა 5 პროცენტით, საომარი მასალისა — 11 პროცენტით.

ზოგიერთი სახის საჭურვლის, კერძოდ ტანკების, წარმოება შემცირებულ იქნა გეგმის შესაბამისად 9-11 პროცენტით.

ავტომანქანებისა და ტრაქტორების გამოშვება კი გეგმით გათვალისწინებულზე მეტი აღმოჩნდა.

მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე გემების მშენებლობა, რამაც ოქტომბერში 1.660 ათას ტონას მიაღწია.

სულ ამა წლის 10 თვის განმავლობაში აგებულია 15.332 ათასი ტონა საერთო წყალწყვის გემები, რაც შეადგენს იმ გეგმის დაახლოებით 80 პროცენტს, რომლითაც გათვალისწინებული იყო 1943 წელს დაახლოებით 19 მილიონი ტონა საერთო წყალწყვის გემების აგება.

ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲡ

დუშეთი („კომუნისტის“ კორ.). დუშეთის მტს-მა (დირექტორი ამხ. ა. მანუკოვი) გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა 1943 წლის გეგმა. მტს-ის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ ეხმარებიან მათ. მტს-ის ძველი კადრები თავის გამოცდილებას ფართოდ უზიარებენ ახალ კადრებს. მაგალითად, მეორე ბრიგადის ბრიგადირს ა. ხუბაშვილს 12-მდე ტრაქტორისტი ჰყავს აღზრდილი. ამ ბრიგადამ წლიური საწარმოო გეგმა 115,5 პროცენტით შეასრულა. ამ ბრიგადის ტრაქტორისტმა არსენ ჩხუტიაშვილმა წლიური საწარმოო გეგმა 215 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 864 კილოგრამი საწვავი მასალა, ტრაქტორისტმა ი. თანიაშვილმა წლიური გეგმა 211 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 694 კილოგრამი საწვავი მასალა. ახალი კადრების აღზრდაზე და თავიანთი გამოცდილების გაზიარებაზე კარგად მუშაობენ მოწინავე ტრაქტორისტები ია შვილი, აბრამაშვილი და სხვ.

მტს-ში დიდი ყურადღება ექცევა რაციონალიზატორული წინადადებების გატარებას. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს მტს-ის სახელოსნოს ზეინკალმა კ. ლოთაძემ, ზეინკალმა შ. კარიაულმა და ხარატმა ა. გოლიკოვმა. წარმატებით მიმდინარეობს ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი. აქ დიდ ინიციატივას იჩენენ სამარაგო ნაწილების ადგილზე გამოძებნისათვის და მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწილები ადგილობრივ სარემონტო სახელოსნოში დაამზადეს.

მტს-ში ტრაქტორების სამარაგო ნაწილების დამზადებისა და ადგენის გეგმა ფულადი გამოხატულებით ნაცვლად 8.400 მანეთისა შესრულებულია 10.412 მანეთის რაოდენობით. სარემონტო სახელოსნოში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა, რომ რემონტი დროულად და მაღალხარისხოვნად დაამთავრონ.

მტს-მა გასული ნახევარი წლის გეგმა რბილ ხვნაზე ადადაყვანით გადამეტებით შეასრულა. ნახევარი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მტს-ს გადაეცა საქ. მიწსახკომის და მტს-ებისა და მიწათმოქმედების მუშაკთა რესპუბლიკური კავშირის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მტს-ის მუშაკები ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად აძლიერებენ მუშობას ტემპებს, რომ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ 1944 წლის საგაზაფხულო თესვას.

ნ. ხეთაგური

ᲛᲘᲦᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლა“, რომლის თავმჯდომარეა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი იონა ფესტვენიძე, ქუთაისის რაიონში მალიონერი კოლმეურნეობაა. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად კოლმეურნეობა წლიდან-წლამდე გადამეტებით ასრულებს საწარმოო გეგმას და ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე.

გეგუთელმა კოლმეურნეებმა მზრუნველობით დაამუშავეს და უდანაკარგოდ აიღეს 357 ჰექტარი სიმინდის, 92 ჰექტარი ბოსტნეულის, აგრეთვე არახისისა და სოიის მოსავალი. თავდაცვისა და ძური დახმარების ჰექტარებიდან აღებულია 70 ცენტნერი სიმინდი. გადამეტებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის კომბოსტოს, კიტრის, პამიდორის, სტაფილოს, ხახვისა და კარტოფილის ჩაბარებათა წლიური გეგმა. დღემდე კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა 750 ტონა მარტო ბოსტნეული.

ყურძნის მაღალი მოსავალი მიიღო სევანიანე ფუშკუდიანის ბრიგადამ. პირველი მოკრეფილი ყურძენი სახელმწიფოს ჩაბარეს. გეგმით გათვალისწინებული 45 ტონის ნაცვლად ჩაბარებულია 46,5 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

კოლმეურნეობა „წინსვლამ“ გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, 311 სული მსხვილფეხა პირუტყვის ნაცვლად, რაც გეგმით არის გათვალისწინებული, ჰყავს 317 სული. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომელთაც სტახანოველი ბრიგადირები თედორე ფესტვენიძე, შალვა მამისეიშვილი, სოკრატ გაგოშიძე, ამბროსი ყუბანეიშვილი და ემელიანე სანებლიძე ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეებმა დიდძალი საოქტომბრო საჩუქრები გაუგზავნეს წითელი არმიის გმირ მებრძოლებს. გეგუთელი კოლმეურნეები ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით ოპასუხებენ დიდი სტალინის საოქტომბრო მოწოდებებს.

შ. ჯავახაძე

ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ბორჩალოს რაიონმა საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულა 100,2 პროცენტით. დათესილია 15.530 ჰექტარი. სოფ. კაჩეგანის სოციალიზმის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მუხთარ ყურბანოვი) გეგმის გადამეტებით დასთესა 50 ჰექტარი, პირველი კასილოს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გარიფ კასუმოვი)—25 ჰექტარი, სოფ. კეშალოს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე აჯიბა გაჯიევი)—70 ჰექტარი. სოფ. გიაურარხის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბაირამ ბაირამოვი) თესვის სახელმწიფო გეგმას გადაჭარბა 50 ჰექტარით, ხოლო სოფ. ზემო ისარალის მე-6 ყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რასულ სულეიმანოვი)—22 ჰექტარით. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჩალოს რაიკომის მდივანი კ. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ᲒᲣᲚᲘᲔᲕᲘ

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა 22 ნოემბრისათვის 100,4 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოიის ჩაბარების გეგმები. ჩაბარებულია 769 ტონა სოია.

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ᲪᲐᲜᲐᲕᲐ
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ

• • •

ლიმონ-მანდარინის ტრესტის ალამბრის (ქობულეთის რაიონი) საბჭოთა მეურნეობამ 22 ნოემბარს 102 პროცენტით შეასრულა მანდარინის კრეფის გეგმა. მოკრეფილია 58 ტონა ნაყოფი. კრეფა გრძელდება.

ალამბრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ᲛᲔᲑᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

„ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲝ!“

დონბასში დაბრუნდა დონბასის ქვანახშირის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მაღაროელთა სიმღერისა და ცეკვის ansამბლი.

ქალაქ სტალინოს საოპერო თეატრში შესდგა ansამბლის პირველი შეხვედრა მის ძველ მაყურებლებთან, რომლებსაც მან უჩვენა ახალი თეატრალიზებული პროგრამა „გამარჯვება, დონბასო!“.

მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ არტისტებს, რომლებიც შემოქმედებითი მხრივ გაზრდილან ორი წლის განმავლობაში.

ᲝᲗᲮᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ლიტერატურის სახელმწიფო ცენტრალიზებული ფონდი ამჟამად აგროვებს წიგნებს და აკომპლექტებს ბიბლიოთეკებს გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის. წიგნების შეგროვებას ხელს უწყობს მთელი ჩვენი ქვეყანა. ფონდში უკვე შემოვიდა დაახლოებით ოთხი ნიღლიონი წიგნი. 1 ნოემბრისათვის სახელმწიფო ფონდმა უკვე დააკომპლექტა 600 ბიბლიოთეკა საოლქო და რაიონული ცენტრებისათვის, აგრეთვე 16 აღსადგენი უმაღლესი სასწავლებლისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამჟამად წიგნების შერჩევას კიევის აღსადგენი საჯარო ბიბლიოთეკისათვის, რომელიც გერმანელებმა გაანადგურეს და დასწვეს. ამ ბიბლიოთეკისათვის აგროვებენ ძვირფას გამოცემებს ცოდნის სხვადასხვა დარგში.

„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ“

ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტმა გამოუშვა 14 ტომი „მეცნიერული წერილებისა“, რომლებიც მიძღვნილია რუსული მეცნიერებისა და კულტურის როლისადმი მსოფლიოს კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში (საკდესი).

სალარის (უზბეკეთის სსრ) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. გენერატორების დეტალების აწყობა. ფოტო ა. შტეინგარდტისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲛᲘᲕᲝᲚᲝᲡᲔᲚᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲤᲣᲠᲪᲮᲕᲐᲜᲘᲫᲔ

20 წელია მას შემდეგ, რაც ამხ. შ. ფურცხვანიძე ტყიბულეს მაღაროში მუშაობს ქვანახშირის ნგრევაზე. ამ ხნის განმავლობაში მან დააგროვა მდიდარი გამოცდილება, რითაც თავი ისახელა, როგორც ქვანახშირის ნგრევის, ისე სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებაში.

სემივოლოსის შრომის ახალი ნეთოდით შალვა ფურცხვანიძე 4 სანგრევში მუშაობით ყოველდღიურად 7-8 მეტრით სწევს წინ სანგრევ ხაზს, რითაც სისტემატურად ასრულებს 3-4 ნორმას.

ამხ. შ. ფურცხვანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სანგრევის ხაზზე შპურების განლაგებას. შპურების წესიერად განლაგებით ფურცხვანიძე თითო მეტრზე 90 სანტიმეტრის ნაცვლად 1 მეტრსა და 30 სანტიმეტრამდე წინსვლას აღწევს. ამას წინათ იყო ისეთი დღე, როდესაც ამხ. ფურცხვანიძე 13 მეტრით წასულიყო წინ სანგრევიზაზე, რითაც 520 ტონა ქვანახშირი გასალადა. ნორმა ეს შეადგენდა. ეს ჩვენს დიდა-სამშობლოს მიუძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ამხ. ფურცხვანიძე კარგად არის დაუფლებული სანგრევი ურიოთი მუშაობის ტექნიკას. ამ ძვირფასი სამთო მექანიზმით მუშაობის დროს ფურცხვანიძე 4-5 ნორმას აჭარბებს ყოველდღიურად.

სამამულო ომის დღეებში ქვანახშირის ამოღების გასადიდებლად ნამდვილი ფრონტული ენერგიით მუშაობისათვის ამხ. შალვა ფურცხვანიძე, რომელიც წინათ დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, ამას წინათ დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

სემივოლოსის წერილის პასუხად ამხ. შალვა ფურცხვანიძე კიდევ უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს გვაძლევს.

ინჟ. კალანდაძე

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲖᲘᲓᲝᲗ ᲨᲔᲨᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲥᲘᲐᲜᲘ

ხობი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ხეთის სატყეო მრეწველობის მეურნეობა ერთ-ერთი უმძლავრესია საქართველოში. აქ დიდძალი რაოდენობით მზადდება შეშა და ძვირფასი მერქანი, რაც უმთავრესად თავდაცვის საჭიროებებს ხმარდება. ხეთის სატყეო მეურნეობაში შეშისა და ძვირფასი მერქნის დამზადებაში მონაწილეობის მიღება დავალებული აქვთ ხობის, ზუგდიდის და წულუკიძის რაიონების მშრომელებს. 10 ნოემბრისთვის შეშის დამზადების წლიური გეგმა ამ მეურნეობაში (მეურნეობის დირექტორი ამხ. ი. ეფუტია) შესრულებული იყო 98,9 პროცენტით, ხოლო მერქნისა — 123 პროცენტით. დამზადებაში ჩამორჩენილია წულუკიძის რაიონი, რომელმაც ვერ შესძლო მუშახელის საკმაო რაოდენობით გაგზავნა ტყეში სამუშაოდ. წულუკიძის რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ ეს ჩამორჩენა.

ზამთარი უკვე მოახლოებულია, ტყიდან გამოსაზიდია დიდძალი შეშა და მერქანი. საჭიროა დაუყოვნებლივ მივაშველოთ მეურნეობას ურმები, რათა ხე-ტყის მასალა გამოზიდულ იქნას მექანიზებული ტრანსპორტის საშუალებით. ხობის და წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობებს ახლა საშუალება აქვთ მეტი დახმარება გაუწიონ სატყეო მეურნეობას ცოცხალი გამწევი ძალის მიწოდებით. ის 45 უღელი ხარ-კამეჩი, რაც ახლა აქ ჰყავთ საკმარისი არ არის. ძვირფასი ხე-ტყის მასალა და შეშა ტყეში ამ უნდა დავტოვოთ.

Ზ. ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘ“

საქართველოს ხელოვნების საქმეთა საკავშირო ოლქის თბილისის სამხატვრო გალერეაში ხსნის დიდ სამხატვრო გამოფენას თემაზე: პირველი სამამულო ომი.

გამოფენილი იქნება რუს და უცხოელ კლასიკოს მხატვართა ნაწარმოებები, რომლებიც მეტეხის მუზეუმის ფონდებში ინახება. წარმოდგენილი იქნება სახვითი ხელოვნებისა 300-ზე მეტი ნიშვნელოვანი ნამუშევარი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ

სამშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ფიზიკურ აუდიტორიაში (სასწავლო შენობა 2/4, მეორე სართული) შესდგება ამავე ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის საჯარო სხდომა დიდი რუსი მათემატიკოსის ნ. ი. ლობაჩევსკის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად. მოხსენებას თემაზე „ნ. ი. ლობაჩევსკის ცხოვრება და შემოქმედება“ გააკეთებს ნ. ლომჯარია.

დასწრება თავისუფალია.

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲖᲘᲓᲝᲗ ᲨᲔᲨᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲥᲘᲐᲜᲘ

ხობი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ხეთის სატყეო მრეწველობის მეურნეობა ერთ-ერთი უმძლავრესია საქართველოში. აქ დიდძალი რაოდენობით მზადდება შეშა და ძვირფასი მერქანი, რაც უმთავრესად თავდაცვის საჭიროებებს ხმარდება. ხეთის სატყეო მეურნეობაში შეშისა და ძვირფასი მერქნის დამზადებაში მონაწილეობის მიღება დავალებული აქვთ ხობის, ზუგდიდის და წულუკიძის რაიონების მშრომელებს. 10 ნოემბრისთვის შეშის დამზადების წლიური გეგმა ამ მეურნეობაში (მეურნეობის დირექტორი ამხ. ი. ეფუტია) შესრულებული იყო 98,9 პროცენტით, ხოლო მერქნისა — 123 პროცენტით. დამზადებაში ჩამორჩენილია წულუკიძის რაიონი, რომელმაც ვერ შესძლო მუშახელის საკმაო რაოდენობით გაგზავნა ტყეში სამუშაოდ. წულუკიძის რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ ეს ჩამორჩენა.

ზამთარი უკვე მოახლოებულია, ტყიდან გამოსაზიდია დიდძალი შეშა და მერქანი. საჭიროა დაუყოვნებლივ მივაშველოთ მეურნეობას ურმები, რათა ხე-ტყის მასალა გამოზიდულ იქნას მექანიზებული ტრანსპორტის საშუალებით. ხობის და წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობებს ახლა საშუალება აქვთ მეტი დახმარება გაუწიონ სატყეო მეურნეობას ცოცხალი გამწევი ძალის მიწოდებით. ის 45 უღელი ხარ-კამეჩი, რაც ახლა აქ ჰყავთ საკმარისი არ არის. ძვირფასი ხე-ტყის მასალა და შეშა ტყეში ამ უნდა დავტოვოთ.

Ზ. ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲖᲘ

4, 5 და 6 დეკემბერს სოხუმში საქართველოს ფიზიკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი აწყობს მოკრივეთა შეჯიბრებას საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ „დინამოს“, „სპარტაკის“, ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის, ბათუმის და სოხუმის უძლიერეს მოკრივეთა გუნდები. შეჯიბრება პირად-გუნდური.

სხვადასხვა წონითს კატეგორიებში გამარჯვებულ ცალკეულ მოკრივეებს მიენიჭებათ საქართველოს სსრ ჩემპიონების სახელწოდება.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲩᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

ხელჩართული ბრძოლის, როგორც სპორტის თავდაცვითი სახის პროპაგანდისა და წითელი არმიისათვის ახალი რეზერვების ნომზადების მიზნით საქართველოს ფი